

**ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის
ოქმი №30**

ქ. ამბროლაური, ბრატისლავა-რაჭის ქ. N11 6 სექტემბერი 2018 წელი (10:00 სთ)

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა შედგა „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის N01 დადგენილების მე-20 მუხლის პირველი პუნქტის და საკრებულოს თავმჯდომარის 2018 წლის 21 ივნისის N63 ბრძანების საფუძველზე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები ასლან საგანელიძე – ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, დავით ხუციშვილი – ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე, თენგიზ გელოვანიშვილი - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, დავით გოგსაძე - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე, ლია გოგოლაძე - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, გიორგი ლაიშვილი - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, მარინე ჯაფარიძე - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ლევან მეტონიძე - ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე.

სხდომა დაიწყო: 10:00 სთ.

სხდომა დასრულდა: 10:30 სთ.

ბიუროს 11 წევრიდან სხდომას ესწრება 8 წევრი. სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს სხდომა გახსნილად გამოაცხადა და ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტით გათვალისწინებული საკითხი.

დღის წესრიგი:

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში 2018 წელში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ
მომხსენებელი ასლან საგანელიძე - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომის თავმჯდომარემ ასლან საგანელიძემ კენჭი უყარა ბიუროს სხდომის დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი
ბიურომ ერთხმად დაამტკიცა ბიუროს სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ასლან საგანელიძის მოხსენება ამბროლაურის მუნიციპალიტეტში 2018 წელში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ. მომხსენებელმა ასლან საგანელიძემ აღნიშნა, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიამ საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად წარმოადგინა საკითხი ამბროლაურის მუნიციპალიტეტში 2018 წელში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ. საკითხი წინასწარი განხილვის მიზნით გადაეცეს საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას. კომისიამ 2018 წლის 18 სექტემბრამდე უნდა წარმოადგინოს სათანადო დასკვნა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ასლან საგანელიძემ, წინადადება დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 7, წინააღმდეგი არცერთი.

გადაწყდა: ამბროლაურის მუნიციპალიტეტში 2018 წელში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ განხილული იქნეს სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ და მანვე 2018 წლის 18 სექტემბრამდე საკრებულოს ბიუროს წარმოუდგინოს სათანადო დასკვნა საკითხის საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვის შესაძლებლობის თაობაზე.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ასლან საგანელიძემ, ბიუროს სხდომა დასრულებულად გამოაცხადა.

ასლან საგანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

